

**მეფუტკრე – 010353
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

მეფუტკრეობა არის სოფლის მეურნეობის დარგი, რომლის ამოცანაა ფუტკრის მოშენება ადამიანის კვებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო პროდუქტების - თაფლის, ცვილის, „რძის“ დინდგელის, ჭეოსა და შხამის მისაღებად. ფუტკარი ჯვარედინმტვერია მცენარეთა განაყოფიერებით ზრდის ხეხილისა და ბალახის კულტურების საჰექტარო მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნაყოფის ხარისხს.

II. დასაქმების სფერო

მეფუტკრე შეიძლება დასაქმდეს ფერმერულ მეურნეობებში ან შეუძლია გახდეს ინდივიდუალური მეწარმე.

III. დამატებითი მოთხოვნები.

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეფუტკრის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი. თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 75 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

კურსდამთავრებულს ენიჭება მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეფუტკრის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეფუტკრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეფუტკრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეფუტკრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

V. მეფუტკრის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი.

მეფუტკრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>აქვს მეფუტკრეობის საფუძვლების ზოგადი ცოდნა; იცის ფუტკრის ოჯახის ბიოლოგია. ფუტკრის ოჯახთან მუშაობის წესები, წლის სხვადასხვა პერიოდში შესაბამისი სამუშაოების შესრულება. დალიანობისათვის ფუტკრის ოჯახის მომზადება, მთაბარობა. იცის საფუტკრის, თავლის გამოსაწურის, მისი კონდიციონებისა და ჩამოსასხმელი ოთახის, ფიჭის შესანახის, სახელოსნოს, სამთაბარო ქოხის, საკონტროლო სკის ფარდულის, საწყობის და სარწყულებლის მოწყობა, სკისა და ინვენტარის გასუფთავება, დეზინფექცია. გაცნობიერებული აქვს საწარმოო პროცესში თავისი კვალიფიკაციის შესატყვისი მარტივი ამოცანების შესრულების, დამხმარე და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, შრომის უსაფრთხოების საკითხების ცოდნის მნიშვნელობა. იცის სასელექციო-სანაშენე მუშაობის, მოშენების მეთოდები (მასობრივი, ინდივიდუალური და ხაზებად მოშენება).</p>
-------------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია შესაბამისი მოთხოვნების გააზრება და ხელმძღვანელის რჩევის გათვალისწინებით შესაბამისი ზომების მიღება. უშუალო ხელმძღვანელობით დამხმარე მარტივი და ტიპური დავალებების შესრულება. ადრე გაზაფხულზე სკაში არსებული საკვები მარაგის განსაზღვრა; მისი შევსება საჭიროების შემთხვევაში ცომისებური და თხვადი საკვებით (სასურსათო ან ინვერსიული შაქარი, ან თაფლი); დამატებითი ცილოვანი საკვები ჭეოს სახით, ან ხელოვნური საკვები ძროხის რძის ან საფუერის სახით, ბუდის შემჭიდროვება, ზედმეტი ჩარჩოების ამოცლა; ფუტკრის დამატებითი კვება სეზონის ბოლოს (დალის შეწყვეტისას) საზამთრე მარაგის შესავსებად. ასევე ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მარტივი ოპერაციებს. შეუძლია აწარმოოს სელექცია როგორც ფენოტიპის, ასევე გენოტიპის მიხედვით. გადარჩეული ოჯახების შეფასება ელემენტარული მემკვიდრული ხარისხით არა მარტო ფენოტიპით, არამედ მოდგმის ნუსხებით პროდუქტიულობის გათვალისწინებით. ხელმძღვანელთან ერთად გადაწყვეტილების მიღება; შეუძლია ყოველდღიური სამუშაო გრაფიკის შედგენა;</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია კვალიფიკაციის შესაბამისი დავალების შესრულებისას ხელმძღვანელისგან მიღებული მითითების საფუძველზე ამოიცნოს პრობლემა და გადაჭრას იგი, გააკეთოს აუცილებელი დასკვნები. შეუძლია მომხმარებელთა საჩივრის გააზრება და შესაბამისად დროული რეაგირება. კრიტიკულ სიტუაციებში აქვს ეფექტურად მოქმედების და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი; შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში და შეზღუდული დროის პირობებში მოთხოვნების ანალიზი და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიება.</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია საქართველოს მეფუტკრეობის ასოციაციის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებისა და მოქმედი დებულებების შინაარსის გააზრება; შეუძლია მეფუტკრეობის სპეციალურ სახელმძღვანელოებში, ჟურნალებში ან ინტერნეტში ახალი ინფორმაციების მოძიება და დამუშავება. შეუძლია მიმდინარე და დასასრულებელი დავალებების შესახებ მოკლე შენიშვნების ჩაწერა, ჯგუფის კოორდინირებისა და ხელმძღვანელობისათვის საჭირო მასალის ნუსხის შედგენა; შეუძლია კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან სამუშაოებისათვის საჭირო ახალი მიდგომების და უსაფრთხოების ნორმების, მუშაობის პროცედურების განხილვა; დამქირავებელთან კოლეგებთან ფუნქციების განაწილების თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, საჭირობოროტო საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია, შეუძლია სამუშაო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის, ინსტრუქციების სტანდარტების, შენიშვნების გაგება; შეუძლია საქმიანობისათვის აუცილებელი აღრიცხვის წარმოება; მოთხოვნის შემთხვევაში შეუძლია სამუშაო გეგმის და ანგარიშის შედგენა; ფლობს და იყენებს უცხო ენას მომხმარებლებთან ურთიერთობისას; შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება საჭირო უახლესი ინფორმაციის მოძიებისათვის.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია მითითებული წყაროს მიხედვით ინფორმაციის მოპოვება ცოდნის შემდგომი გაღრმავების მიზნით. აცნობიერებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას (აუცილებლობას სხვისი რჩევის და საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე). შეუძლია მეფუტკრეობის სფეროში ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>სანაშენე მუშაობის წარმართვის შესრულების კრიტიკულ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში იცავს საქმიანობისთვის დაწესებულ ეთიკურ ნორმებს, უზიარებს მათ კოლეგებს. შესაბამისი კომპეტენციის საზღვრებში იცავს პროფესიულ წესებს და პროცედურებს, იცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს.</p>

მეფუტკრის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი.

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობილი ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს შესაბამისი ცოდნა ხელოვნურად დედა ფუტკრის გამოყვანის (სადედე ბარტყის გადატანით ან გადაუტანლად, გამორჩევის შემდეგ მისი განაყოფიერებით სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსებში, დამხმარე ოჯახების შედგენას, ძირითადი და დამხმარე ოჯახების გაერთიანებას) საქმეში.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენე ბის უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სამამლე აღმზრდელი და ჭიების მომცემი ოჯახების მომზადება, დედა ფუტკრის გამოყვანა ჭიების გადატანით,სადედე ჯამებიან ჩარჩოზე ერთდლიანი ჭიის გადატანა და აღმზრდელი ოჯახისთვის მიცემა დედის გამოსაყვანად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი</p>	<p>შეუძლია დედა ფუტკრის ხელოვნურად გამოყვანის მეთოდებზე ახალი ინფორმაციის მიღება და მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობების აღმოჩენა, მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და გამოკვლეული ინფორმაციის ხელმძღვანე ლისათვის მიწოდება. შეუძლია მომხმარებელთა საჩივრების გააზრება და შესაბამისად დროული რეაგირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვლად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია უცხო ენაზე საქმიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება, ასევე სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვლად ვითარებაში</p>	<p>შეუძლია დედა ფუტკრის ხელოვნურად გამოყვანასთან, სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსების ფორმირებასთან დაკავშირებული ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.</p>

ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვლად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	შეუძლია გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის ატანა. გააჩნია გაბედულობა, სისხარტე და სწრაფი რეაგირების უნარი. ფლობს სამუშაო პროცესის უსაფრთხოების წესებს. არის პუნქტუალური და მოწესრიგებული.
---------------------	--	---

მეფუტკრის მუხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	ფლობს ფუტკრის რძის ფიზიკურ თვისებებს, ქიმიურ შედგენილობას, ბიოლოგიურ აქტივობას. აქვს ფუტკრის რძის მიღების სპეციფიკის საფუძვლიანი ცოდნა; დაუფლებულია ფუტკრის რძის ხარისხის ექსპერტიზას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია საფუტკრეში არსებული მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება. ფუტკრის რძის წარმოებაზე პროგრამის შემუშავება. შეუძლია მაღალპროდუქტიული ოჯახებიდან ფუტკრის რძის მიღება. შეუძლია მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია ფუტკრის რძის წარმოებაზე. შეუძლია საფუტკრეში სახარჯთაღრიცხვო-ფინანსური გაანგარიშების ჩატარება.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.	შეუძლია დამსაქმებლის დაკვეთის გააზრება და საფუტკრეში სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრა; შეუძლია ფუტკრის რძის მიღების პროცესში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მათი გამოძვევი მიზეზების გამოკვლევა და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრობლემის მოსაგვარებლად ალტერნატიული გზების განხილვა; აქვს უნარი საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სამუშაო უბნებზე ადაპტირების.

კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეების და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდრვრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის</p>	<p>შეუძლია საფუტკრეში ფუტკრის რძის წარმოებაზე მიღების ანგრიშის წარდგენა საქართველოს მეფუტკრეთა ასოციაციაში და საჭიროების შემთხვევაში ახსნა-განმარტებების მიცემა; შეუძლია სხვადასხვა სპეციფიკურ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა; შეუძლია უცხოურ ენაზე ანგარიშის შესრულება სათანადო დასკვნებით.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია ფუტკრის რძის წარმოების უკეთ განხორციელების მიზნით ახალი მეთოდების, ინსტრუქციების, ექსპერტიზის დებულებების და სხვა საჭირო მასალის დამოუკიდებლად მოძიება და გააზრება. შეუძლია კარიერული წინსვლის დაგეგმვა და ამისთვის აუცილებელი სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრა.</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავის და სხვის დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>ნებისმიერ სიტუაციაში იცავს ფუტკრის რძის წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებს, კონფიდენციალურ ინფორმაციასთან აქვს შეგნებული დამოკიდებულება.</p>